<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ. 143) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ[1]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[2]“ ქვეპუნქტი:

„ბ[2]) განახორციელოს უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარება მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.“.

2. 34[1] მუხლის :

ა) მე-3 და მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში განხორციელების უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ იურიდიულ პირს, რომელზეც არ ვრცელდება ამ კანონით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები, გარდა ამ კანონის II და XI[1] თავებისა და 32-ე მუხლისა. ამასთანავე, ამ პუნქტით განსაზღვრულ იურიდიულ პირზე ამ კანონის მე-9 და 21-ე მუხლების მოქმედება ვრცელდება მათი შინაარსის გათვალისწინებით.

4. საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული შესაბამისი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას, ამასთანავე, აპოსტილით დამოწმებას ან ლეგალიზაციას არ საჭიროებს.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზაცია მოპოვებული აქვს ზოგადი განათლების იმ საფეხურზე, რომელზეც ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით შეიძლება განისაზღვროს აღნიშნული იურიდიული პირისთვის ავტორიზაციის განსხვავებული პირობები.

6. საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით. მობილობის პროცესში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2.

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ამ კანონის ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილების განხორციელება კანონქვემდებარე აქტებში.

2. იმ იურიდიულმა პირებმა, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ახორციელებდნენ საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას საქართველოში, ამ კანონის ამოქმედებიდან 24 თვის ვადაში უზრუნველყონ კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზაციის მოპოვება.

მუხლი 3.

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**